№ 83
შაბათი, 20 აპრილი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

	თვე კ.		მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის‘‘ ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 83
შაბათი, 20 აპრილი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდ
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხაზედ—5 კაპ.

,,ივერიის‘‘ ტელეფონი № 227.

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის‘‘ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 21 აპრილს, 1902 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

ორი პიესა ერთს საღამოს

I

ლეკის ქალი გულჯავარ

ისტ. დრ. 3 მოქმ. (მეფე ერეკლეს ცხოვრებიდგან) ავ. ცაგარლისა.

II

მსხვერპლი მსხვერპლისათვის

კომ. 3 მოქ. დიაჩენკოსი, თარ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, სარიძე და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, რომანიშვილი, იორდანოვი და სხვ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად შილლერის „ყაჩაღები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და სხვა.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროთერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—$7^1/_2$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს‘‘, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

შეუძლებელ ჰყოფს თუ არა ჩვენის სოფლის სიღარიბე მის კულტურულ ზრდას.

კულტურა და სიმდიდრე ერთმანეთზეა დამოკიდებული: სადაც კულტურაა, იქ სიმდიდრეა და, პირ-იქით, სადაც სიმდიდრეა, იქ კულტურაა. თუმცა ეს ასეა, მათ შორის არ არის მაინც და მაინც მათემატიკურად პროპორციალი დამოკიდებულება. შეიძლება უფრო მდიდარი ერი კულტურით უფრო ჩამორჩენილი იყოს, ვიდრე უფრო ღარიბი ერი. განჯისა და ბაქოს გუბერნიის თათრები თუ უფრო არა, ნაკლებად მდიდრები არ არიან ქართველებზე, მაგრამ კულტურით-კი ბევრად ჩამოუვარდებიან უკანასკნელებს. პირადად გაცნობილი მაქვს, მაგალითად, ბაქოს გუბერნიის ერთი მაზრა გეოქჩაისა. რა არ არის ამ მდიდარ მაზრაში? ღვინო, აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი, ყოველივე უხვად მოდის. თითქმის მთელი მაზრა ბაღად არის გადაქცეული. ნაყოფიერი მიწა, სარწყავი წყლები, თბილი ჰაერი, აი, მიზეზი აქაურის სიმდიდრისა. გლეხებიც, როგორც სჩანს, ღარიბები არ უნდა იყვნენ. ძლიერ ხშირად შეხვდებით მშვენიერ შენობას. ოთახები მოფენილია ნოხებით. ქვეშსაგებელი აბრეშუმისა აქვთ. ჰხედავთ მრავალ სამზარეულო ავეჯეულობას. ეზოში მრავალი შენობაა. პირ-უტყვი უხვადა ჰყავთ. იქვე ვენახი. ერთი სიტყვით, ოჯახი ჩაგანძულია, მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული.

მაგრამ რა გამოვიდა?! დასაჯდომ სკამს, ტახტს, სუფრას ათასში ერთგან თუ შეჰხვდები. საჭმელსაც-კი ვერ ამზადებენ რიგიანად; დანა-ჩანგალს სულ არ ხმარობენ. კიდევ კარგი, თუ სუნის მოძღვრებისაა თქვენი მასპინძელი, თუ შიისა, როცა თავიდან მოგიშორიებს, ქვეშსაგები და ავეჯი, რომელსაც, იმის აზრით, უწმინდური ქრისტიანი შეეხო, უნდა გარეცხონ. ვერაფერი სასიამოვნოა სწორედ, როდესაც ისე გიყურებენ, როგორც უწმინდურს.

ქალი ხომ არც შიისა და არც სუნნისა არ დაენახვება სტუმარს.

საწყალი თათრები! ჰგონიათ, რომ ამ გვარის სასტიკობით გაუქრობენ ქალს გულისთქმას. პირ-იქით, თათრის ქალი თუ ქრისტიანს შემთხვევით მარტოდ-მარტო შეეფეთა სადმე, იმ წამსვე ჩამოიხსნის პირ-ბადეს და დაუწყებს ცქერას გულის-თქმით აღგზნებულ თვალებით. თუ ქრისტეანთან თათარია, ქალი, არა თუ პირ-ბადეს არ მოიხსნის, არამედ უთუოდ ზურგს შეაქცევს გამვლელთ. მართალი ყოფილა ხალხური ნათქვამი: „სიყვარული არ იქმნება ძალადით“. ძალადობით გულის თქმის დახშვა შეუძლებელია, პირ-იქით, უფრო შესაძლებელია მეტად აღგზნება მისი. კარ-ჩაკეტილ ქალს, რომელსაც აღკრძალული აქვს ქვეყნის ხილვა, უფრო აღგზნებული აქვს ოცნება, მისი გული უფრო აღშფოთებულია, უფრო ძლიერი სურვილი აქვს ჩავარდეს გულის-თქმათა მღელვარების მორევში, ხარბად დაეწაფოს, ერთხელ მაინც იჯეროს გული, ეს საზოგადო კანონია: საპყრობილეში კაცი უფრო დანატრებულია თავისუფალ და წმინდა ჰაერს, ვიდრე თავისუფალი კაცი. აღკრძალული ხილი ტკბილია.

ქალების კარ-ჩაკეტილობაა მიზეზი კაცის კვლის სიმრავლისა თათრებს შორის. ამ უკიდურეს ბარბაროსობას კიდევ ხელს უწყობს შურის ძიება, სისხლის აღება.

წერა-კითხვის მცოდნე ძნელი მოსანახავია მათ შორის. განათლებას აგრე რიგად არ ეტანებიან.

ქურდობა ხშირია.

აი, რა დაბალი კულტურა აქვთ თათრებს, თუმცა სიმდიდრით სხვებს არ ჩამოუვარდებიან.

საქართველო, კულტურის მხრივ, ცხადია, უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ხსენებული ქვეყანა, თუმცა სიმდიდრის მხრივ, ჩემის ფიქრით, ჩამოუვარდება. ამას გარდა, თვით საქართველოში თანასწორ სიმდიდრის პატრონთა შორის თავადს ან აზნაურს უფრო შეთვისებული აქვს ევროპიული კულტურა, ვიდრე გლეხს. მე ბევრი მინახავს მდიდარი გლეხი, რომ გასაოცარ სიბინძურეში ეცხოვროს. ასეთ აზნაურს-კი ძვირად შეჰხვდებით. ხშირად მინახავს, რომ გლეხს კარგი გამართული სახლი ცალიერი დაეტოვებინოს და თვითონ-კი თავის ბინძურ ქოხში ეცხოვროს. ამ გვარ ჩვეულებას მისდევს ქართველი გლეხი ყველაფერში. სტუმარს თუ სუფთა ქვეშ საგებს გაუშლის, თვითონ წვირიანში წვება, გარედ თუ კარგი ტანისამოსი აცვია, შინ ძონძებშია გახვეული.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ მარტო სიღარიბით არ მოსდის ეს გლეხს, რომ აქ ჩვეულებას, ტრადიციასაცა აქვს დიდი მნიშვნელობა. რასაკვირველია, გლეხი რომ უცბად როტშილდათ გადიქცეს, გლეხურ ჩვეულებასაც მალე დასტოვებს, რადგან მაშინ მისთვის სხვები იზრუნვებენ, მაგრამ საქმეც ის არის, განათლებულ ცხოვრებას მაშინ არ გამოაკლდე, როდესაც შენის თავის მზრუნველი მხოლოდ შენა ხარ.

ამას დამტკიცება არ ეჭირვება, რომ ჩვენს გლეხს შეუძლიან უკეთაც მოაწყოს თავისი ცხოვრება და უკეთაც აღზარდოს თავისი შვილები. აი, ეს გარემოება გვაძლევს საბუთს საიმედო თვალით ვუყუროთ მომავალს. ეს გარემოება გვინერგავს გულში ნუგეშს და სურვილს მოქმედებისას.

გლეხის ეკონომიურ ვითარებაში დაცულია პოტენცია და ენერგია, რომელმაც შესაძლებელია თავი იჩინოს კულტურულის ძალის სახითა. თვით ეხლანდელი ცხოვრება ხელს უწყობს ხალხის კულტურულ ზრდას. ამის მაგალითებს უკვე ვხედავთ.

ჩვენი გლეხი ახლა უფრო მაღლა სდგას კულტურის მხრივ, ვიდრე ამ ორმოც და ათის წლის წინად. ჯერ-ჯერობით ეს განსხვავება ემჩნევა ცხოვრებას უფრო გარეგნობით. ხოლო თვით არსებითაც რომ წარმატება სჩანს, ამისი ნიშნებიც არის. ამის საუკეთესო მომასწავებელია დაბალ სკოლების გამრავლება სოფლად. მართალია, ამ მხრივ არც მესამედი გაკეთებულა მისი, რაც სასურველია, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ზოგიერთმა კუთხემ, მაგალითად, გურიამ შესამჩნევი ნაბიჯი წასდგა წინ. გურიას ჰბაძავს ქვემო-იმერეთი, ამას კიდევ სხვები წაჰბაძავენ და მთელს საქართველოში გავრცელდება, გაძლიერდება სურვილი სწავლისა, ცოდნის შეძენისა, განათლებისა.

და თუ დღეს ჩვენი გლეხი პირველ-დაწყებითს სწავლას ეტანება, შემდეგ უთუოდ არც ამას დასჯერდება და უფრო მაღალ განათლებას მოინდომებს.

რასაკვირველია, შეუძლებელია წინასწარმეტყველება, რაგვარის სისწრაფით მოხდება წინ-სვლა, მაგრამ ჩვენთვის მხოლოდ ისიც კმარა, რომ გლეხთა განათლების წარმატება ფაქტია, რომელსაც ვერ უარ-ჰყოფენ დოქტრინიორებიც-კი.

როდესაც რომელიმე ბუნებრივი პროცესი ბრმა სტიქიურ კანონების მეოხებით სწარმოებს, როდესაც საზოგადო მოძრაობაში ცნობიერობას ადგილი არ უჭირავს, როდესაც ხალხს რომელსამე კულტურულ საქმეში განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, ინტელლიგენცია, არ უძღვის წინ, მაშინ ვერც საქმე მიდის სასურველის სისწრაფით. დარწმუნებული ვარ, გურიის სოფლის ინტელიგენციას მცირედ არ უშრომნია გურიაში სკოლების დაარსებისათვის, თუმცა, ცხადია, ინტელიგენციის მოღვაწეობას ამ საქმეში თვით ხალხის სურვილიც წინ შეეგება.

აი, ამიტომ მიმაჩნია ქადაგება, რომ ინტელიგენცია მხოლოდ ქალაქში უნდა მოღვაწეობდესო, ცალ-კერძ ქადაგებად. თუ ქალაქი წარმატების გზას ადგია, სოფელიც ამავე გზას არ ჰღალატობს. თუ ქალაქში სასარგებლოა ინტელიგენტი, სოფელშიაც არ არის უსარგებლო. თუ ქალაქი მეტის სისწრაფით იზრდება, ვიდრე სოფელი, სამაგიეროდ, სოფელი დიდია და დღემდის მცხოვრებთა რიცხვით ბევრად აღემატება ქალაქს. რასაკვირველია, მე სახეში მაქვს მხოლოდ საქართველო. აი, ამიტომ მიმაჩნია აუცილებლად კულტურული მუშაობა სოფლად.

მეორე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, რომელიც არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, არის წიგნთ-საცავთა გამრავლება სოფლად. რასაკვირველია, ამ მხრივაც გურიას უჭირავს პირველი ადგილი, თუმცა, თან-და-თან საქართველოს სხვა კუთხეშიაც ვრცელდება ეს დიდმნიშვნელოვანი დაწესებულება.

ეჭვი არ არის, იქნება დრო და, ვინ იცის, ეგებ არც ისე გვიან,—როდესაც თვითეულ ჩვენს სოფელს ექნება სასწავლებელი და წიგნთ-საცავი. აი, მაშინ დასრულდება პირველი საფეხური ჩვენის კულტურულის ზრდისა და დადგება ხანა შემდეგი, უფრო მაღალის საფეხურისა.

შეიძლება, ზოგიერთმა მკითხველმა ეჭვით შეჰხედოს წიგნთ-საცავის ასეთს დიდს მნიშვნელობას და გვერდში არ ამოუყენოს წიგნთსაცავი სასწავლებელს. მაგრამ ასეთი ეჭვი უსაფუძვლო იქნებოდა. წიგნთ-საცავი დიდი კულტურული ძალაა. იგი განგრძობაა სასწავლებლისა, მისი გვირგვინია. სადაც წიგნთ-საცავი არ არის, იქ სასწავლებელი უნაყოფოა. მკითხველი უთუოდ ძლიერ ცოტა სოფლელს იცნობს ისეთს, რომელსაც თუნდ ოთხის კლასის გათავების შემდეგ განეგრძოს წიგნის კითხვა, სწავლა. ქალაქში ნასწავლი სოფელში მალე უსწავლელად გადიქცევა ხოლმე. ამ მოვლენას ნუ მივაწერთ თვით სოფლელის გონებრივ სიზარმაცეს, მიზეზი ამისი ის არის, რომ სოფლის მკვიდრს არ შეუძლიან სათითაოდ თავის ხარჯით ჟურნალ-გაზეთები გამოიწეროს.

განვიმეორებ, თუ ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია, მოწყვეტილია ქვეყნიერობას, ამისი მიზეზი უმთავრესად წიგნთ-საცავის უქონლობაა. წიგნთ-საცავი უფრო აკავშირებს ხალხს ქვეყანასთან, ვიდრე გზები, ვაჭრობა, მრეწველობა, რადგან პირველი ჰქმნის სულიერ კავშირს, მაშინ როდესაც ყოველი სხვა ფაქტორი მხოლოდ მატერიალურს კავშირს ამყარებს. წიგნთ-საცავი აღვიძებს მოქალაქობრივ გრძნობას, აფართოებს გონების საზღვარს, სპობს პირადობის ვიწრო ზღუდეს, რომლითაც შემოფარგლულია დღეს ჩვენი სოფლელი.

მაშ დიდია ღვაწლი იმ უჩინარ მოღვაწეთა, რომელთა მეოხებითაც ჩვენში სასწავლებელი და წიგნთ-საცავი ვრცელდება. თუმცა მათი სახელი არ ვუწყით, მაგრამ სამაგიეროდ, ვხედავთ მათს საქმეს. იგინი ემსგავსებიან სასარგებლო ფუტკართ, რომელნიც თვისის გამუდმებულის შრომით ამზადებენ ქვეყნის სასარგებლო თაფლსა და სანთელს; საფუძველს ჰყრიან ხალხის განათლების დიადის საქმისას. ეს მუშაკნი დიდის რიხითა და ჰაი-ჰუით არ გამოდიან საზოგადო ასპარეზზე, მათი შრომა მარტივია, მაგრამ ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ზოგიერთ ვაჟბატონისა, რომელთაც თავისი თავი საქვეყნო და საზოგადო მოღვაწედ მიაჩნიათ და უფრო ჰყვირიან, ვიდრე აკეთებენ რასმე.

ვასილ წერეთელი.

ახალი ამბავი

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ ოლქის ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა საქართველოს საექსარხოსოში დეკ. იოანე ვოსტორგოვი უწმ. სინოდის ბრძანებით დაუნიშნავთ საქართველოს სასინოდო კანტორის წევრად.

✦ 28 აპრილს ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება მოხდება, ხოლო 5 მაისს—თელავისა და თიანეთის მაზრების თავად-აზნაურთა. კრებებმა უნდა განიხილონ შემდეგი საგნები: პირველმა 1) ხაზინის მიერ გადადებულ 40 ათას მანეთის მოხმარება და განაწილება, 2) სათავად-აზნაურო საგუბერნიო მორიგ კრებების გადატანა მარტიდგან დეკემბერში. მეორე კრებამ ამ საგნების გარდა სამიც სხვა უნდა განიხილოს: 1) თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ ფულის გადადება საადგილ-მამულო ბანკის მოგებიდგან, 2) კახეთში სეტყვასთან საბრძოლველად მორტირების მოწყობა და 3) საძოვარ-საბალახის საქმის გამოკვლევა საქართველოში.

✦ 22 აპრილს ტფილისის საქალაქო სკოლებში გადახდილი იქნება პანაშვიდი რუსთა მწერლის ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლად იმის გარდაცვალებიდგან ორმოც და ათის წლის შესრულებისა გამო. საქალაქო სკოლების მოსწავლეებს დაურიგდებათ ჟუკოვსკის ნაწერების იაფ-ფასიანი გამოცემები. ამასთანავე ქალაქის გამგეობას დაუდგენია ჟუკოვსკის სახელი დაარქვას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას.

✦ როგორც ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ სასტატისტიკო კომიტეტში წარდგენილ ცნობებიდგანა სჩანს, 1901 წელს ქალაქ ტფილისს შემოსავალი ჰქონია 1.357,838 მან. 37 კაპ., ხარჯი—1.297,899 მან. 90 კაპ.

✦ 18 აპრილიდგან შეცვლილ იქმნა მატარებლების მიმოსვლის წეს-რიგი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ. ახალის წესით ბათუმსა და ტფილისს შუა სამი სახალხო მატარებელი დაიარება.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს თავისს წარმომადგენლად მომავალ საქალაქო არჩევნებზედ დაუნიშნავს ა. ნ. ფურცელაძე.

✦ ტფილისის ვაჭრებმა მთავრობის ნებართვით დააარსეს სავაჭრო სკოლა. სწავლა ახალს სკოლაში სამის წლით იქნება. პირველ კლასში იმათ მიიღებენ, ვისაც საქალაქო სკოლაში სწავლა დაუმთავრებია. სწავლის ფასი წელიწადში 80 მანეთია. იმას, ვინც ამ სკოლაში სწავლას დაამთავრებს, სავაჭრო დაწესებულებაში ხუთის წლის სამსახურის შემდეგ მიენიჭება პირად საპატიო მოქალაქის წოდება. სამხედრო ბეგრის გადახდის დროს ამ სკოლაში სწავლა დამთავრებული მეორე ხარისხის შეღავათით სარგებლობს. სწავლა სკოლაში 18 სექტემბრიდგან დაიწყება. თხოვნები 20 აგვისტოდგან უნდა გაიგზავნოს. (ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, ზავრიევის სახლი, № 23). დროებით ახალ სკოლას განა-

გებს ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი.

◆ „Нов. Об.“-ს სწერენ ქიათურიდგან: ამ ზაფხულს აქ განზრახულია კრება შავის-ქვის მრეწველთა. ამ კრებაზედ ფიქრობენ, სხვათა შორის, იქონიონ მსჯელობა, რომ ქიათურაში დაარსდეს ქიმიური ლაბორატორია, ხაზინის განყოფილება, სკოლა შტეიგერებისა, ხუთას თუმანს გარდა კიდევ გადაიდოს ფული საბჭოს მიერ მართლ-მადიდებელთათვის ეკკლესიის ასაშენებლად, ეთხოვოს რკინის გზას, რომ მონაწილეობა მიიღოს ეკკლესიის აშენებაში, გაშენდეს ქიათურაში ბაღი, ეთხოვოს მთავრობას, რომ ქიათურა პოსადად იქმნას გადაქცეული, გადმოტანილ იქმნას საჩხერიდან ქიათურაში კანტორა ნოტარიუსისა, გაძლიერდეს შტატი პოლიციისა, დაინიშნოს ცალკე კრებული ქიათურის ეკკლესიისათვის, გაიმართოს ქიათურაში საქალაქო სასწავლებელი, გაგანიერდეს ქიათურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, ან არა-და განგრძობილ იქმნას ეს გზა ბათუმსა და ფოთამდე, რომ ქიათურაში დატვირთული ვაგონები პირ-და-პირ მიდიოდეს ზემოხსენებულ ქალაქებამდე შორაპანში გადაუტვირთველად, ქიათურის სადგურზედ იყიდებოდეს ბილეთები, გამოსადეგი მაგისტრალის რკინის გზაზედაც, აირჩეს ცალკე დეპუტაცია და მიენდოს შუამდგომლობა, რომ დაკლებულ იქმნას ტარიფი ქიათურის გზაზედ, მოემატოს ნახევარ კაპეიკიან გარდასახადს ქიათურიდგან გატანილს შავ-ქვაზედ ჩეტ-კაპეიკიცა, რათა მით გაძლიერდეს ძირის თანხა ქიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა და დაწესდეს ყოველ-წლივ მოწვევა შავის-ქვის მრეწველთა მორიგ კრებისა.

◆ დღეს, 20 აპრილს, შეერთებული სხდომა ექმნება ტფილისის ქალაქის გამგეობასა და განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც დაწვრილებით უნდა განიხილოს ტეხნიკური პროექტი ტფილისის ელექტრონით განათებისა.

იმერეთის ამბები.

◆ როგორც კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცნობებიდგანა სჩანს, 1901 წელს ოლქს ქუთაისის გუბერნიაში დაუარსებია 12 პირველ-დასაწყისი და ორი ორ-კლასიანი სკოლა. ორ კლასიანი სკოლა დაარსდა შორაპნის მაზრის სოფ. ბოსლევში და სენაკის მაზრის სუჯუნაში. დაუარსებია აგრეთვე ერთი რკინის გზის სასწავლებელი ყვირილაში, ერთი საქალაქო ბათომში, 8 სოფლის ერთ-კლასიანი და შვიდი ქალების სკოლა. ამას გარდა, ორ-კლასიანად გადაუკეთებიათ სამტრედიისა და ამაღლების სკოლები და პარალელი კლასები გაუხსნიათ სიმონეთისა, ფარცხმა-ნაყანევისა, იანეთისა, ხვარბეთისა, ჩოჩხათისა და შემოქმედის სკოლებთან.

◆ **ს. მექვენა** (ლეჩხუმის მაზრა): ჩვენს ახლო-მახლო მდებარე მთები და საყანეები 13 აპრილს დაგვითოვლა. სოფლათაც თოვლს, მაგრამ ჯერ მიწა ვერ დაუფარავს. ძლიერ ცივა. ვშიშობთ ვენახები და ხეხილები არ მოგვიწვას და, ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, „დამწვარზედ მდუღარე არ დაგვესხას“, იმიტომ რომ შარშან იყო და სეტყვამ ისე აგვიოხრა ვენახები, ერთი ჩაფი ღვინოც არ მოგვსვლია და წრეულსაც თუ სიცივეებმა გაგვიფუჭა, „უნდა ავიხვიოთ თვალები და ჩავვარდეთ რიონში“, როგორც ყველა გაიძახის. აბა, სხვა რაღა დაგვრჩენია: ერთად-ერთი სალსარი ჩვენის ცხოვრებისა ვენახებია. ერთის წლის მოუსავლობამაც შესამჩნევი დაღი დააჩნია ჩვენს უიმისოდაც გაჭირვებულ ცხოვრებას და ახლაც, თუ კიდევ ვენახები დაგვიზარალა, სულ მოგვითავდება ხელი.

წერილი რიონ-გაღმის მხრიდგან.

არც მომრიგებელი სასამართლოს ნაწილი, არც ქსენონი.—არც პოლიციის ნაწილი.—ქურდობა და მისი ორგანიზაცია.—სკოლები.—გზები. — ამინდი. — აბრეშუმი.—სიმინდისა და ღვინის სიძვირე.—დელიჟანსი.—ახირებული 900 მანეთის ზარალი.

გვიცრუვდება იმედები! ჩვენს მხარეს არავითარი ნიშან-წყალი ოდნავ გამოფხიზლებისა არ ეტყობა; აღარ გვიარსდება არც მომრიგებელ სასამართლოს ნაწილი, არც ქსენონი, არც სასწავლებლები და წიგნთ-საცავ-სამკითხველოები. ვერას გამოგვადგნენ აქაური მაღალ-განათლებული და ახალგაზრდა სემინარიელი მღვდლები. ყველას დაავიწყდა სასწავლებელში შეძენილი იდეები, მაშინდელნი ოცნებანი ქვეყნის კეთილდღეობისა და მოძმის დახმარებისათვის; საზოგადო საქმისათვის აღარ შეიწუხეს თავი, რადგან ეკლიან გზაზედ სვლას გაკაფული არჩიეს, საზოგადო ინტერესებს პირადი ამჯობინეს და ჩვენის მგოსნის სიტყვების თანახმად:

„მათი უძლები გული
და შებღალული სული
მუდამ იმას იძახის:
„ფული, ფული და ფული!“

პატრონი რომ გვყოლოდა, მომრიგებელი სასამართლოს ნაწილი, რომელიც, როგორც ისმის, ამ ზაფხულიდგან დ. სამტრედიაში არსდება, ჩვენ მხარეს არ აუვლიდა გვერდს და აქაური მცხოვრებლები მოვრჩებოდით დ. ბაღდადს სიარულს, რომელიც ახლავს აქაურ სოფლებს 25—30 ვერსის მანძილზედ. ზამთრობით მეტად გასაჭირია იქ წასვლა: დღეები პატარაა, მომჩივან-მოპასუხე უნდა გაემგზავროს უთუოდ წინა დღით, და მეორე დღესაც იქ უნდა დარჩეს, იმიტომ რომ საქმის გათავების შემდეგ უკან დაბრუნებას ვეღარ ასწრებს, და ამ გვარად სამი დღე უნდება მისვლა-მოსვლას. სასამართლოს ნაწილი რომ დაარსებულიყო ს. ამაღლებაში ან ვანში, მაშინ მას დაუახლოვდებოდნენ შემდეგნი საზოგადოებანი: გორასი, უხუთისა, დვალიშვილებისა, ვანისა, საპაიჭაოსი, მუხაურისა და ტობანიერისა. შემდეგ იქნებ კიდევ მომატებოდა რაიმე დაწესებულება და ჩვენთვისაც გათენდებოდა ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში...

მაგრამ არა აქვს იღბალი ჩვენს დაობლებულ მხარეს. აი, მაგალითად, ამ სამის წლის წინად ვანის საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი და მიჰმართა მთავრობას თხოვნით, გაეხსნათ აქ სასოფლო ქსენონი, რისთვისაც საზოგადოება სწირავდა ერთ ქცევა ადგილს და სხვაგვარ დახმარებასაც ჰპირდებოდა,—განაჩენიც დაიკარგა და არც რამ ისმის მას შემდეგ. ჩვენც პირ-დაღებულნი შევჩერებივართ მთავრობას, ჩვენით არაფერს დავეძებთ. სხვაგან თუ ერთი საზოგადოება აარსებს ქსენონს, ნუ-თუ ჩვენ, რვა საზოგადოება, ვერ შევძლებდით!? მაგრამ მათ მოთავეები ჰყავთ ისევ თავის ქვეყნის შვილები, ჩვენ-კი, როგორც მოგახსენეთ, უპატრონონი ვართ.

დიდი ხანია საჭიროებს ჩვენი მხარე, რომ აქ დაარსებულ იქმნეს აგრეთვე პოლიციის ნაწილი. ამ მხარეში ათი ათასზედ მეტი მცხოვრები ითვლება, ორ საზოგადოებაში ბაზრობაა გამართული, 140-მდე დუქანია,—და ყველა ესენი პოლიციის მეთვალყურეობას მოკლებულია. ბაღდადი და სამტრედია ერთმანერთს 55 ვერსზედ დაშორებულია, ამისათვის ბოქაულები ორ-სამ თვეშიაც ერთხელ ვერ ახერხებენ, მოუცდელობის გამო, ჩვენის სოფლების დათვალიერებას.

სანამ აქეთ „ხევის-თავობა“ იყო, ერთ ხანს ქურდობა შესუსტდა, ეხლა-კი ისევ იჩინა თავი, მხოლოდ ცხენების ნაცვლად ხარების პარვა იწყეს; აქამდის თუ ქვევით მიჰყავდათ ქურდებს მოპარული საქონელი, ეხლა ზევით ჰგზავნიან ახლად დაარსებულ „ამაღლების იარმუკაში“. წარსულ კვირას ტობანიერის საზოგადოებაში აღმოაჩინეს მთელი კრება ქურდებისა, რომელიც თითქმის ორი წელიწადია მოქმედებენ ამხანაგურად და ამ ხნის განმავლობაში 50-მდე შინაური საქონელი გაუგზავნიათ ხსენებულ ბაზარში; კრებას ჰყოლია თავისი მოხელეები, ერთი ყალბი ნასყიდობა-მოწმობების დამწერი და მეორე ბეჭედის დამკვრელი, გამსადებელი-კი სხვები ყოფილან; თვითეულ ამ ყალბ ნასყიდობას აზის ურცხვოდ მამასახლისის თანაშემწის ბეჭედი ნომერ ამოფხეკილი და ქვეშ ოთხი-ხუთი წლის წინად გარდაცვალებულ თანაშემწის გვარი და სახელი აწერია.

დიდ ხანს გაგრძელდებოდა ამ გვარი მოხერხებული ბოროტ-მოქმედება, რომ შემდეგ გარემოებას არ შეეშალა ხელი: ამ ორის კვირის წინად ამაღლების ბაზარში ქურდების მიერ გაყიდული ხარი გამოჰქცეოდა ახალ პატრონს და მოსულიყო თავის ძველ პატრონთან; ამავე საზოგადოების კაცს ენახა, რომ ეს ხარი ვიღაც სამ ახალგაზრდა კაცს მიეყიდნა იქაურ კაცისათვის. როგორც იყო, მოსძებნეს ხარის მყიდველი, გორას საზოგადოებაში მცხოვრები გლეხი ტყეშელაშვილი, რომელიც ტობანიერის სოფლის სამმართველოში მამასახლისმა დაიბარა. როგორც იღაპარაკა ტყეშელაშვილმა, ეს ხარი უყიდნია მას ვიღაც სამ უმაწვილ კაცისაგან 15 მანეთად და შემდეგ იქვე გაუყიდია 18 მანეთად და 50 კ. გამყიდველებს მოწმობაც მიუციათ. ვინაობა მათი არ სცოდნია, ხოლო თუ ნახავს მათ, უსათუოდ იცნობს. მამასახლისმა მაშინვე მთელი სოფელი დაიბარა, როგორც საეჭვო კაცები, ისე დაკარგულ საქონლის პატრონები; ტყეშელაშვილმა მაშინვე გამოძებნა მათ შორის სამი კაცი, რომელიც უჩვენეს ამავე საზოგადოების კაცსაც, დამსწრეს გაყიდვაზედ და ესეც დაემოწმა, რომ ნამდვილად ესენი არიანო. ქურდები მაშინვე დააპატიმრეს, ოქმი შეადგინეს და მეორე დღესვე გადასცეს სამტრედიის ბოქაულს გამომძიებელთან წარსადგენათ. ამბობენ, ქურდები, თავიანთის დამწერ-დამმოწმებელით, გამოტეხილან დანაშაულობაში.—გამოძიება სწარმოებს.

სკოლების რიცხვს ჩვენკენ არ უმატნია,—მთელ რიონ-გაღმა მხარეს ისევ სამი-ოთხი სასწავლებელი აქვს: ამათში ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო, ორი თითო-კლასიანი და ერთიც სამრევლო-სამსწავლებლო სკოლა ამაღლებაში.—ეს არის და ეს ჩვენი განათლება.

16 მარტს აქეთ ბრძანდებოდა სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი მაჭავარიანი, რომელმაც დაათვალიერა ტობანიერის ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, ვანის, მუხაურის და აბაშის (ქუთაისის მაზრა) ერთ-კლასიანი სასწავლებლები. ტობანიერის სასწავლებელთან განიზრახა საქალებო განყოფილების გახსნა და ვანის ერთ-კლასიან სასწავლებელთან ებრაელების განყოფილების გახსნა. ვანში ებრაელები დიდი ხნიდგან სცხოვრობენ, დღეს ითვლება 40 მოსახლე, მაგრამ ამათში ოთხი-ხუთი თუ მოიძებნება ცოტა შეძლებულნი, თორემ დანარჩენები ღარიბნი არიან. ამისათვის საეჭვოა, რომ იმათ სკოლის გახსნა მოახერხონ, თუ მთავრობა არ დაეხმარება. ინსპექტორმა აღუთქვა მათ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

24 მარტს, ტობანიერის საზოგადოების კრებაზედ ხალხს ჰქონდა მსჯელობა გზის გაკეთებაზედ, რომელიც იჯარით უნდა გასცენ. მამასახლისმა გამოუცხადა ხალხს, ვითომც მთავრობამ გადასწყვიტა თავად-აზნაურობასაც მიაღებინოს მონაწილეობა გზის კეთებაში და ამიტომ უმჯობესი იქნება ყველა დასთანხმდეს და გზა სამმართველოდგან დაწყებული ბორნებამდე,—რომელიც იქნება სიგრძით ათი ვერსი, გაცემულ იქმნას ფულადო. ხალხმა უპასუხა, ჯერ ნამდვილი გავიგოთ, თუ მთავრობა აიძულებს თავად-აზნაურებს და სასულიერო წოდებას, რომ გზის კეთებაში დაგვეხმარონ, მაშინ ჩვენც ფულს გადავიხდით, თორემ შეძლების დაგვარად, როგორც გვიმუშავნია, ისე ვიმუშავებთო.

თუ მართლა ეს ახალი გადაწყვეტილებაა მთავრობის მიერ, სწორედ სიმპატიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან გზა, როგორც გლეხს, აგრეთვე თავად-აზნაურსაც და მღვდელსაც, ეჭირვება, ამისთვის ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა მის კეთებაში. მეტად საჭიროა მაზრის უფროსი ამის შესახებ მოელაპარაკოს თავად-აზნაურობას და გლეხებსაც აუხსნას ნამდვილი სიმართლე.

აქეთ ორი-სამი კვირაა, რაც გვალვები სდგას და გლეხები მუშაობას ვერ ახერხებენ. შვიდ აპრილს-კი ცოტა წამოწვიმა, თუმცა საკმაო არ იყო. სამი დღე სიცივეები იდგა და ისევ დაგვჭირდა ბუხარ-დუმელების გახურება.

წელს აბრეშუმის თესლი წინანდელივით ბევრი არ არის: წასულ წლებში საბაზროდ დაატარებდნენ თესლს და მუშტარს ისე ეძებდნენ, წელს-კი ბევრს არცა აქვს ჯერ მოპოვებული თესლი: ზოგან კიდევაც გაცოცხლდა ჭიები, მაგრამ ცივმა ამინდებმა მეტად შეუშალა ხელი.

სიმინდი და ღვინო გაძვირდა აქეთ. ფუთი 60 კაპ. ავიდა, ჩაფი ღვინო-კი 3 მანეთამდე.

ვანის მესამე დელიჟანსი, რომელმაც პირველად ტობანიერლები აზარალა 900 მანეთით და შემდეგ ვანის ახალმა ამხანაგობამ შეიძინა, გაუქმებულ იქმნა, რადგან ახალ ებრაელ-ქრისტიანების ამხანაგობასაც არგუნა ვალი 900 მანეთი.

ვლადო ბზვანელი.

დაბა და სოფელი

სოფ. ტოლა (რაჭის მაზრა). რასაკვირველია სანუგეშო მოვლენად უნდა აღინიშნოს ჩვენის ცხოვრების პროცესში, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ და პრესსამ ამ ბოლო ხანებში ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს სოფელსა და სოფლელებს, და სცდილობენ ყოველის მხრივ გაიცნონ და გამოიკვლიონ სოფელი და სოფლელთა ყოფა-ცხოვრების ვითარება. ეს გამოკვლევა და სოფლელთა მდგომარეობის ზედ-მიწევნით ცოდნა ჩვენის ერის ჰკუითა და სწავლა-განათლებით წინამძღოლის კლასისათვის ყოველთვის აუცილებელი მამულის-შვილური ვალი იყო. სოფელი წარმოადგენს ჩვენის ეროვნულის აგებულების დედა ძარღვს და, რასაკვირველია, ცოდნა იმისა, თუ რა მდგომარეობაშია ეს ეროვნული ძარღვი თანამედროვე ცხოვრების პროცესში, სავალდებულოა იმათთვის, ვინც ჩვენის ხალხოსნურ ჯანმრთელობისა და წარმატების გზაზე დაყენებისათვის ზრუნავს და იღწვის...

სწორედ ამ აზრით უსაყვედურებს ბ-ნი პ. უმიკაშვილი (იხ. „ივერია“ № 69) სოფლის კორესპონდენტებს, რომ თქვენ ვერ ასრულებთ თქვენს მოვალეობასაო, ვერ უხატავთ მკითხველ საზოგადოებას ნამდვილს და სრულს სურათს სოფლელთა გონებრივის და ეკონომიურის მხრივ ყოფა-ცხოვრებისასაო და სხვა.

შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ ამ საქმეში, ჩვენის აზრით, პირადად კორესპონდენტები არ უნდა ჩაითვალონ დამნაშავედ. რას ავალებს სოფლის კორესპონდენტს მისი მწერლობის თანამდებობა?—აღწეროს და მიაწოდოს პრესსას ყოველივე, რასაც ჰხედავს და ესმის სოფლის ცხოვრებაში.—მაგრამ ყოველივე ამის სავსებით აღნუსხვა და გამოქვეყნება გაზეთის ფურცლებზე, რასაკვირველია, სოფლის კორესპონდენტს, მის მიერ დაუძლეველ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, ვერ მოუხერხებია. ამის გამო ჩვენს პრესაში აღბეჭდილი სურათი ჩვენის სოფლის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა, რასაკვირველია, ნამდვილის კოპიო არ იქმნება...

მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვა მინდა მოვახსენო მკითხველს იმ საგანზედ, რომელზედაც ბ-ნმა უმიკაშვილმა ჩამოაგდო ლაპარაკი. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ მხედველობაში გვექმნება მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმის მაზრა.

კუთხობით გადასახლება თავის მამა-პაპეულ მიწა-წყლიდამ სხვა მხარის მიწა-წყალზე ჩვენის გლეხ-კაცობის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ერთს თუ ორს მაგალითს, ამ რამდენისამე წლის წინად რომ რამდენიმე მეკომური გლეხი რაჭველი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა მამა-პაპათა კერა და გარდასახლებულიყო კავკავის ოლქში, სადაც დაბინავდნენ სალი გვერდის თუ ალაგირის მიდამოებში,—თითო ოჯახის გადასახლება უფრო იშვიათი მაგალითია. ჩვენს გლეხობას რაც უნდა მცირე ადგილ-მამული ჰქონდეს, რაც უნდა ვიწროობას გრძნობდეს, მაინც ეზარება და ვერ გაუბედნია თავის სამ-

ფელეტონი

იმერეთის მეფე სოლომონ II

(ისტორიული ამბავი)

VI*)

ამის შემდეგ გაიარა რამდენიმე ხანმა. გენ. ტორმასოვის განკარგულებით გაიჭედა იმერეთი ჯარით და სოფელი სოფელზედ იღებდა ხელმწიფე იმპერატორის ერთგულებაზედ ფიცს. ამ ხანში ნადვ. სოვეტ. მოგილევსკი გამოიგზავნა იმერეთში და მიენდო მეფე სოლომონის ამბების შეტყობა. მოგილევსკიმ ბევრი ცნობა შეჰკრიბა და 12 თებერვალს 1810 წელს ქ. ქუთაისიდგან მისწერა გენ. ტორმასოვს რაპორტი და აცნობებდა შემდეგს: „ვისწრაფვი გაცნობოთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ჩავედი თუ არა ქუთაისში, მეორე დღესვე გავაგზავნე მეფესთან თავ. ამირეჯიბი; ამირეჯიბი მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა ს. ვარციხიდგან, რადგან მეფე სანადიროდ წასულიყო და სასახლის თავადებს მეფის უნახავათ აღარ გამოუშვიათ. ამირაჯიბს თან მოჰყვა მეფისაგან გამოგზავნილი ორი თავადი: სოლომონ ლეონიძე და თ. ჯაფარიძე, რომლებსაც მეორე დღეს მეც თან წავყევი ს. ვარციხეში. თ. სოლომონ ლეონიძე დიდი ცბიერი და ეშმაკი კაცია, ის არის ერთად-ერთი თავადი, რომელიც ამაგრებს მეფეს და მეფესაც დიდი ნდობა აქვს მისი. გზაში თ. ლეონიძემ დამიწყო ეშმაკური მუსაიფი, რომელშიაც ხელოვნურად გამოურია მეფის ამბებიც, სთქვა, რომ მეფე ხალხს დიდად უყვარს, იმერეთი ისეთი ქვეყანაა, რომ მის მთებში და გაუვალ ტყეებში ძლიერ ადვილად შეიძლება კაცმა თავი შეაფაროს და მტრის დევნა თავიდგან აიშოროსო. ამ გვარ მუსაიფის დროს მე ისეთს სახეს ვაჩვენებდი, თითქო არ მესმოდა მისის სიტყვების მნიშვნელობა. ამასთან არც თავისი თავი დაჰვიწყებია. სთქვა, რომ მე დიდი ერთგული და კეთილის მყოფი ვარ რუსეთისა, მაგრამ ზოგიერთმა ჩემმა მტრებმა დამაბეზღეს და რუსეთს ჰგონია, მე ახლა მისი წინააღმდეგი ვიყოო. ამ ლაპარაკში სოფ. ვარციხესაც მივადექით. სოფ. ვარციხე ძლიერ ცუდ ადგილას მდებარეობს. სანამ მეფის სასახლემდის მივიდოდით, ორ ძლიერ ჩქარ მდინარეში უნდა გავსულიყავით—რიონსა და ყვირილაში. ამ მდინარეებზედ ხიდი არ იყო და განგებ ჩვენთვის გაწყობილ ნავებით გავედით. ცოტა ხნის შემდეგ პირდაპირ წარვუდექით მეფეს და გადავეცით თქვენი წერილები, რომლის მიღებაზედ მეფე სულ სხვა ფერზედ დადგა. ჩამომართვა წერილები, მაგრამ ჩემთანვე არ გაუხსნია. მოკლე მუსაიფის შემდეგ მე დავუკარი თავი და გავედი იმ ოთახში, რომელიც განგებ ჩემთვის იყო დამზადებული. აქ გამიშალეს სუფრა და თ. ს. ლეონიძესთან ერთად დამსვეს სადილად. სადილად ჩვენს გარდა სხვა თავადებიც ისხდნენ. სულ ორი საათის დამსხდარნი არ ვიქმნებოდით, რო მოგვივიდა მეფისაგან კაცი და გავექანე იმ წამს. შევედი მეფესთან. მეფეს წაეკითხა თქვენი წერილები და ჩვეულებრივის კლიმანჭურის კილოთი დამიწყო მუსაიფი და ამ მუსაიფიდგან გამოირკვა, რომ მეფეს რუსეთის მთავრობამ წაართვა ლეჩხუმის მაზრა, გაუოხრა სამეფო, დაუქცია ქუთაისში სასახლე (ეს სასახლე მე თვითონ ვნახე, მაგრამ ამას არამც თუ სასახლის სახელი არ ეწოდება, არამედ უბრალო სახლის სახელიც დიდია მისთვის), შეავიწროვა აქ დაყენებულმა რუსის ჯარმა და სხვანი... ამაზედ მე ვუპასუხე, რომ ამ გვარის საჩივრებით თქვენ შეგიძლიანთ მიჰმართოთ პირდაპირ მის იმპ. უდიდებულესობას და სთხოვოთ დეპუტაციის პირით დაგიბრუნოთ ლეჩხუმის მაზრა, როგორც თქვენი საკუთრება, თუ-კი ამის დასამტკიცებლად რაიმე საბუთები მოგეპოვებათ ხელში-მეთქი. ამაზედ მეფემ ვერაფერი მიპასუხა და გაჩერდა. თ. სოლომონ ლეონიძემ ისარგებლა ამ შემთხვევით და დაიწყო ჩამოთვლა ყველა იმ მიზეზისა, რომლის გამოც იმერეთის სამეფო დამცირდა და დაბეჩავდა. ლეონიძეს კიდევ ბევრი რამ უნდოდა ელაპარაკნა, მაგრამ შევაწყვეტინე ლაპარაკი, ვსთხოვე მეფეს გულახდით ემუსაიფა ჩემთან, რადგან მე მისის თხოვნით და მთავარ-მართებლის მინდობილობით ვიყავი მასთან გაგზავნილი. ლეონიძემ უცებ შესწყვიტა ლაპარაკი; მეფემ-კი პირდაპირ მითხრა, მსურს, რომ ლეჩხუმის მაზრა, რომელზედაც თ. ციციანოვისაგან მოცემული ხელთნაწერი საბუთი მაქვს (ეს საბუთი აქვე მაჩვენა) უკანვე დამიბრუნდეს და მეორე, იმერეთის სამეფოდგან რუსის ჯარი გაყვანილ იქმნეს, რადგან ეს ორი მუხლი არც ერთი მე არ მიმიღია და არც ხელი მომიწერიაო. როდესაც ამაზედ ვუპასუხე მეფეს, რომ ეს ორივე მუხლი ჩართულია მის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულობაში მეთქი, აიღო ჯვარი და დაიფიცა, რომ ეს სულ ციციანოვის ხრიკები იქნებაო, მე მის მიერ ხელმოწერილი საბუთი მომცა და ხელშეკრულობაში ცალკე შეიტანაო, მაშ ციციანოვმა გატეხა ფიცი და ხელშეკრულობის ძალაც მას დაურღვევიაო. ჯარის შესახებ მოვახსენე მეფეს, რომ რუსეთს დიდი ზარალი აქვს აქ ჯარის დაყენებით, რადგან ჩვენი ჯარი აქაურს ვერც სურსათს შეეთვისა და ვერც ჰაერს, იხოცებიან საწყლები, მაგრამ რა ჰქნას რუსეთმა, რომ სანამ თათრები ომს არ გაათავებენ, იმერეთის სამეფო უნდა დაიცვას თათრებისაგან და ჯარიც ამიტომ სდგას მეთქი. როდესაც თათრებთან ომი გათავდება და იმერეთშიაც აღარ იქნება საშიშო ცხოვრება, მაშინ ჯარსაც გავიყვანთ და დავტოვებთ მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება თქვენ დასაცველადა-მეთქი. ამაზედ მეფემ მიპასუხა, რომ ეს სრულებით საჭირო არ არის თქვენის მხრივ. მე იმდენად ღონიერი ვარ, რომ არამც თუ თათრებისა, არც ერთის მეზობელ სახელმწიფოსი არ მეშინიან და ყოველთვის იმედი მაქვს რუსეთის ჯარის დაუხმარებლად დავსძლევ მათ, მაგრამ აქ სულ სხვა აზრი აქვს რუსეთს და არა ის, რასაც თქვენ მეუბნებით. თუ ეს ორი ჩემი თხოვნა იქნება შეწყნარებული, მაშინ დეპუტაციასაც გავაგზავნი და მორჩილებასაც გამოვუცხადებ რუსეთის ხელმწიფესაო. აქ კიდევ ჩაერია მუსაიფში თ. ს. ლეონიძე, მაგრამ მაშინვე შევაჩერე და ვსთხოვე, რომ ნება მოეცა მეფესთან მარტო მუსაიფისა, რადგან მინდობილობის ძალით ყოველივე საიდუმლოდ უნდა გადავსცე მეფეს და ამისათვის თქვენი აქ ყოფნა ხელის შემშლელი იქნება ამ შემთხვევაში მეთქი. აქ-კი უნებლიეთ შეჩერდა გესლით სავსე ენა თ. ლეონიძისა, ენა-ჩაკმენდილი გავიდა გარედ და თავ. ქაიხოსრო წერეთელიც თან წაიყვანა. დავრჩით მარტო მე და მეფე. მე გულ-ახდილად და მოურიდებლად მოვახსენე მეფეს, რომ თქვენის მეფობის დღე დათვლილია, მათი იმპერატ. უდიდებულ. დიდად განრისხებულია თქვენზედ და, თუ ქედის მოხრით და შეცდომების შენანებით არ მიმართავთ ხელმწიფეს, — იმ შემთხვევაში თქვენი ხსნა არსაიდგან არ იქნება. ამაზედ მკითხა:—მითხარით, რითი განვარისხე ასე რუსეთის ხელმწიფე? ამის პასუხად ჩამოვთვალე ყველა ის საქციელი მეფისა, რომლითაც ხუთის წლის განმავლობაში ჩვენს ჯარს მოსვენებას არ აძლევდა. ამ მუსაიფის დროს თუმც ძლიერ აღელვებული იყო, მაგრამ მაინც არ გამაწყვეტინა მუსაიფი და მისმენდა.

გავათავე ლაპარაკი. მეფეს ხმა არ ამოუღია. მეც გავჩუმდი და ასე დუმილით გავატარეთ რამდენიმე წამი. შემდეგ მეფემ აღელვებით მითხრა: მე არც ერთს თქვენს ჩამოთვლილ დანაშაულობას არ ვკისრულობ, რადგან ისეთის კაცების ნალაპარაკებია, რომლებსაც სურთ ჩემის სამეფოს ხელში ჩაგდება და ჩემი თავიდგან მოშორება, მაგრამ ღმერთი, ღმერთი დიდია, იცოდეთ!...

მეფევო, ვუპასუხე მე, აბა ვინ არის დანაშაული იმაში, რომ ქუთაისის ახლო დაეცნენ ჩვენს ჯარს და გაძარცვეს, მოგვიკლეს ერთი კაზაკი, დაუხვდნენ სვიმონოვიჩის ჯარს, შეუკრეს გზები და არ გაუშვეს დანიშნულს ადგილას?.. აქ-კი მეფე დამშვიდდა და მშვიდის წყნარის სახით მკითხა—კარგი, დავანებოთ ყველაფერს თავიო, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

— აი როგორ, ამ სამის დღის განმავლობაში გაგზავნეთ დეპუტაცია, მოაწერეთ ხელი ხელშეკრულობას, შეჰფიცეთ, რომ მტკიცედ დაიცავთ ყველა იქ აღნიშნულს მუხლს; გადმოდით და დაბინავდით ქ. ქუთაისის სა-

---

*) იხ. „ივერია“ № 82.

შობლო სოფლის, თავის მამა-პაპეულ მიწა-წყლის, თავის წინაპართა სამლოცველოს და სასაფლაოს დატოვება და სხვა მხარეში გარდასახლება.

ეს გარემოება-კი მართლა საყურადღებო და აღსანიშნელია: ჩვენის ქვეყნის თავისუფალს ადგილებზედ ესახლებიან უცხოელები და ჩვენი ხალხი-კი ხელ-ცარიელია...

რაც შეეხება გლეხებისაგან ადგილ-მამულის შეძენას ეს საქმე-კი ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში ადგილ-მამულის გამყიდველნი არიან თავად-აზნაურნი, მყიდველნი-კი—ადგილობრივი გლეხ-კაცობა. ამ მხრივ ჩვენმა გლეხობამ ძალიანი გონიერება გამოიჩინა, არავითარს ღონეს არ ჰზოგავს, ოღონდ-კი როგორმე მოახერხოს და თავადისაგან გასასყიდად დანიშნული სახნავ-სათესი ადგილი, ან ტყის ნაკვეთი იყიდოს. ამიტომ გლეხობის კუთვნილ ადგილ-მამულის რაოდენობა დღითი-დღე მატულობს.

ამ აღებ-მიცემობის პროცესში გლეხობას ეხმარება ის გარემოება, რომ თავად-აზნაურობა იძულებული შეიქმნა ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თავისი მამა-პაპეული სამკვიდრო ადგილ-მამული ნაკვეთ-ნაკვეთად ჰყიდოს... გლეხმა იცის ეს და მომარაგებულია, რომ თავადის ხელიდგან გავარდნილი ლუკმა თვითონ ჩაიგდოს ხელში და სხვა გარეშე პირს არ გაატანოს. მამულის გამყიდველი თავად-აზნაურობაც, მართალი უნდა მოგახსენოთ, კეთილგონიერებას და მამული-შვილურ გრძნობას იჩენს: რა-კი უნდა გაუშვას ხელიდგან ადგილ-მამული, თვითონ სცდილობს მისმა ნაყმევმა, ან მისივე სოფლის გლეხობამ შეიძინოს მისი ხელიდგან წასული მამული. კიდეც რომ ვინმე გამოუჩნდეს მეტის მიმცემი მუშტარი, მაინც თავის ნაყმევის ანუ მეზობელ გლეხისაკენ სწევს გასასყიდს მამულს.

ადგილ-მამულის ფასი, რასაკვირველია, ერთი და იგივე არ არის, სავენახე ანუ სამოსახლო ადგილი ექვსასიდგან ათას მანეთამდის, ათასიდგან ორი ათას მანეთამდისაც ადის დესეტინა, მაგრამ ამ ფულის მოგროვებასაც ახერხებს გლეხი და ადგილს მაინც ხელიდგან არ უშვებს. ტყიან ადგილებს-კი ძლიერ იაფად იძენენ თავად მემამულისაგან.—ქცევას ოც-და-ხუთ მანეთად ანუ სამ თუმნად უმეტეს შემთხვევაში.

ამ ნაირად, ჩვენს მაზრებში თავად-აზნაურთა ხელიდგან გასული ადგილ-მამული გადადის ადგილობრივ მკვიდრის, გლეხ-კაცობის ხელში, და ეს-კი სასიამოვნოა...

ქაიხოსრო გელოვანი.

თეატრი და ხელოვნება.

ხუთშაბათს, 18 აპრილს, ქართველ არტისტთა ამხანაგობამ წარმოადგინა ქართულ თეატრში ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი“. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. როგორც ეტყობა, არტისტები ნაკლებად შეწუხებულან მომზადებისათვის, რადგანაც იმათ თამაშობას არავითარი ანსამბლი არ ეტყობოდა; როგორც იტყვიან ხოლმე, ერთი ალთას მიიწევდა, მეორე ბალთას. ამას გარდა, ბევრმა არტისტმა როლიც არ იცოდა. როლის უცოდინარობა არ ეპატიება განსაკუთრებით ისეთ ჭკვიან მსახიობს, როგორიც ბ-ნი გუნიაა. საჭიროა აგრეთვე რეჟისორმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ისტორიულ პიესებში ეგრეთ წოდებულ „დიდებულთ“. „დიდებულნი მობრძანდებიანო“, გამოაცხადებენ ხოლმე სცენაზედ, მაგრამ ერთის წუთის შემდეგ „დიდებულთა“ ნაცვლად დაგლეჯილ-დაფლეთილ ქულაჯებში გამოწყობილი ბიჭ-ბუჭები შემოდიან მუჯლუგუნის კვრითა და ბორძიკით. ნუ-თუ გრიმს მაინც ვერ გაუკეთებენ ამ „დიდებულთ“?.. როგორც გავიგეთ, ამხანაგობას აზრადა აქვს ოთხი-ხუთი წარმოდგენა კიდევ გამართოს. სასურველია ეს წარმოდგენები მაინც მოაწყოს კარგად. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

ნარკვევი.

12 აპრილს შესრულდა ოც-და-ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც იმპერატორმა ალექსანდრე II გამოუცხადა ოსმალეთს ომი. რუსული გაზეთები იგონებენ ამ ღირს-სახსოვარს დღეს რუსეთის ისტორიისას და გამოსთქვამენ ნატვრას, რომ ოც-და-ხუთის წლის წინად დაწყებული საქმე სასურველად დასრულდეს. საყურადღებოა სხვა წერილთა შორის „ნოვოე ვრემიას“ წერილი, სადაც რედაქცია ცდილობს გამოარკვიოს და დააფასოს ღირსება მაშინდელის ისტორიულის ხანისა. გაზეთის აზრით ოთხმა ომმა გამოარკვია ისტორიული არსება რუსეთისა, ვით დიდის, მსოფლიო სახელმწიფოისა: 1612 წლისამ პოლონელებთან, პეტრე დიდის ომმა შვედებთან, 1812 წლის ომმა ნაპოლეონთან და უკანასკნელმა ომმა ოსმალებთან 1877 წელს.

პირველის სამის ომით ჩვენ ვიცავდით და მოვიპოვეთ კიდეც ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ჩვენი ისტორიული საზღვრები. ხოლო მეოთხე ომში მოვიხმეთ ჩვენი უაღრესი და გმირული ძალა, რათა გადაგვეწყვიტნა აღმოსავლეთის საქმე,—ჩვენი ისტორიული მომავალი. დევისებურის ძალით მოვიქნიეთ ფოლადით აღჭურვილი ხელი და ვლამოდით დაგვეცა იქ, სადაც ბუდობდა ოსმალოს უმართლობა, სადაც ოლეგმა ოდესღაც მიაკრა თავისი ფარი. ხალხის წარმოდგენაში ჩვენ მივდიოდით წმიდა სოფიას და სლავიანთა დასახსნელად. ჩვენის მხედრობის ძლიერის შეტევით შევმუსრეთ და განვფანტეთ ოსმალოს წინააღმდეგობა, რომელსაც არც-კი მოველოდით, ძლევა მოსილი და ზარდამცემი მხედრობა მიადგა სტამბოლს და თავის თვალით ხედავდა მისგან გავლილის და სისხლით მორწყულის მოღვაწეობის გზის ისტორიულს მიზანს. ერთი-და დღის სავალი გვრჩებოდა, უმნიშვნელო და დაუბრკოლებელი,—და წმიდა სოფიას მთვარეს ჩამოვხსნიდით. მაგრამ რუსეთი და მისი მხედრობა შეაყენა ჩვენმა დიპლომატიამ, რომელიც შეაშინა ევროპის ტყუილმა მუქარამ. აუცილებელის გზით მიმავალნი მაინც ვერ მივწვდით ჩვენს საგანს რომელიც თვალ-წინ გვედვა.

მაგრამ საგნის ვერ მიღწევა არა ნიშნავს დამარცხებას. წარსულის ომიანობის ხანა ძვირფასია, მით რომ დაგვანახვა სულიერი განახლება და ძლიერება რუსეთის ხალხისაო: „ჩვენ მივდიოდით, დასძენს გაზეთი, და

ხელში გვეპყრა აღმართული ჯვარი და დროშა კულტურისა, განთავისუფლებისა და სამართლიანობისა. ვერ მივედით გზის ბოლომდის, მაგრამ პატივის ცემით ვიგონებთ იმ სულიერს სიმხნეს, რომლითაც წავედით სამოღვაწეოდ, თაყვანსა ვცემთ იმ დღესა „მსოფლიოსა და მართლ-მადიდებელსა“, როდესაც გვწამდა რომ ავასრულებთ სახალხო და საისტორიო მცნებას.

აუსრულებელი მცნება გადაავლებინებს გაზეთს თვალს მომავალზედაც და მოაგონებს შესაძლებელს ახალს ომს ოსმალოსთან. გაზეთის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს მისწ-რაფება დაბამითვე სამხრეთითაა:—მზისა და თბილ ზღვისაკენ. ამიტომაც მოსალოდნელია,—თუ გვაიძულეს ხელ-ახლად ოსმალეთთან საომრად,—რომ ბრძოლის საგნად გვექნება ჩვენი დამკვიდრება შავის ზღვის შესავალშიო.

უეჭველია, უკანასკნელი ბრძოლა ოსმალეთის საზღვრებში სასტიკი და სისხლის მღვრელი იქნება. გერმანიის ინსტრუქტორებმა საჩინოდ გააუმჯობესეს ოსმალოს მხედრობა და მხოლოდ უფულობის გამო ვერ მოუხერხებია ოსმალეთს თავისის ფლოტის გაკეთება ისევე, როგორც მხედრობისა. ბაღდადის რკინის გზა,—რომლის აშენებაც განზრახულია,—გაივლის სამის კორპუსის ოლქში და ამის გამო გაადვილდება მათი საომარ ფეხზედ დაყენება. თუმცა, როგორც წარსულმა ომებმა დაგვიმტკიცეს, ოსმალებს არა აქვთ შემოსევის ომის ნიჭი.

წარსულმა გამოცდილებამვე გვიჩვენა, რომ ომიანობის დროს ჩვენ მუდამ გვემუქრებიან ზურგიდგან. ამიტომაც საბრძოლველ მხარეს ჩვენ შეგვიძლიან ვამოქმედოთ მხოლოდ ერთი ნაწილი ჩვენის მხედრობისა. აქამდის რუსეთი ყოველთვის მარტოდ იყო, თუ არ ჩავთვლით ავსტრიის ორპოფოვანსა და არა-ხელსაყრელს მეგობრობას. მომავალ ომში-კი ჩვენკენ იქნება საფრანგეთი, თუმცა ჩვენის მოწინააღმდეგების რიცხვიც გამრავლდება და შორეულ აღმოსავლეთის ამბებით გამოწვეული ახლანდელი მდგომარეობაც გაჭირდება. მაგრამ,—თუ ომი ასტყდა,—რუსეთი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედაც მოსძებნის კარგს მეზავეებს.

⁂

საერო განათლების მინისტრის ვანნოვსკის სამსახურიდან გამოსვლის შესახებ «Бирж. Вѣд.»-ი სწერს, სხვათა შორის:

შორიდან შემოტანილმა ჩვენში და განგებ დამყარებულმა კლასიციზმმა ფეხი ვერ მოიკიდა და, იმედია, სამუდამოდ უარ-ყოფილ იქმნა. ძველ ენების შესწავლას სკოლებში მხოლოდ თავისი შესაფერი ადგილი დაეთმო. ყურადღება მიექცა ჩვენის სამშობლოს შესწავლას, დედა-ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის გაცნობას; სკოლებში შემოღებულ იქმნა ბუნების-მეტყველება.

საშუალო სკოლებში დღემდე გამეფებული იყო უგულო ფორმალიზმი, არ არსებობდა გულ-წრფელობა შეგირდებსა და მასწავლებელთა შორის; საკმაო ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული მოწაფეთა ჯან-მრთელობას, წესი სწავლებისა ვერ იყო რიგიანი, მასწავლებელნი ქონებრივად არ იყვნენ უზრუნველ-ყოფილნი.

გაზეთის აზრით, ვანნოვსკიმ ყოველ ამას მიაქცია ყურადღება და სულ სხვა ფეხზედ დააყენა სკოლა.

ფრიად ნაყოფიერი და პატივსაცემი იყო მოღვაწეობა საერო განათლების მინისტრად ნამყოფისა. მის მიერ დაწყებული საქმე, რასაკვირველია, მთლად და სავსებით ვერ განხორციელდებოდა იმ მცირე ხანში, რა ხანსაც ვანნოვსკი მინისტრობდა, მაგრამ ის დედა-აზრი, რომელიც მან საფუძვლად დაუდო სასკოლო რეფორმას ჩვენში და რომელიც მოწონებულ იქმნა თვით ხელმწიფისაგან, ეჭვი არ არის, შემდეგაც არ დაჰკარგავს მნიშვნელობას.

დასასრულ, გაზეთი ამბობს, რომ ვანნოვსკიმ ახალი ხანა შეჰქმნა ჩვენის სკოლის ცხოვრებაშიო. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება რუსეთის განათლების ისტორიაშიო.

რუსეთი

პოლონეთის ერთს კვირეულ ჟურნალის რედაქციას განუზრახავს გაიგოს, რა აზრი აქვთ პოლონეთის გასათხოვარ ყმაწვილ ქალებს, რას ეტანებიან, რას ეტრფიან, რა მიაჩნიათ იდეალად. ამ აზრით რედაქციას დაუგზავნია ყმაწვილ ქალებისათვის ცალკე ფურცლები და უთხოვნია, გულწრფელად მოგვეცით პასუხი იმისი, რასაც ამ ფურცლით გეკითხებითო. და აი რას ეკითხება რედაქცია, მაგალითად: როგორ გეყურებათ თქვენი როლი და დანიშნულება ამ ჟამად, რა მიმართულებით გსურთ განვითარდეთ, რა განსხვავებასა ჰხედავთ თქვენსა და თქვენთა დედათა შორის, რა არის, თქვენის აზრით, ნამდვილი და ჭეშმარიტი განვითარება დედაკაცისა და რა გზას აირჩევდით თქვენის იდეალის განსახორციელებლად, თავისუფლად მოქმედება რომ შეგეძლებოდათ; რას ჰფიქრობთ ცოლ-ქრმობაზედ და ან რას მოელით გათხოვებისაგან; როგორ გესმით სიყვარული და ან როგორ უყურებთ მამა-კაცებს და სხვ. რედაქციას უნდა თავი-თავს მოუყაროს მიღებულს სხვა-და-სხვა პასუხს და მისის მიხედვით საზოგადო აზრი რამ დაასკვნას.

უცხოეთი

ავსტრ-უნგრეთი. ვერ იქმნა, ავსტრიის პარლამენტი ვერ ეღირსა მშვიდობიან და წესიერ მუშაობას,—ხან ერთი ჯგუფი იწყებს ობსტრუქციას, ხან მეორე. ამის გამო თვით უმნიშვნელო საგნების განხილვასაც-კი პარლამენტი მთელ კვირეებს ანდომებს, ხოლო ისეთ საქმეს, როგორიც ბიუჯეტია, თვეობითაც ვერ ათავებს. წელს, მაგალითად, ბიუჯეტის განხილვას ბოლო არ უჩანს იმ აურ-ზაურისა და შეტაკებების წყალობით, რომელთა მოწმეცა ხდება ხოლმე მალი-მალ პარლამენტი. ბიუჯეტის შესახებ 300 დეპუტატმა მოისურვა ლაპარაკი. ამათგან, თუმცა უკვე ორი თვე გავიდა, 185 კაცსაც არ ულაპარაკნია. კერბერმა, რათა საქმე დააჩქაროს და ბიუჯეტის განხილვა დროზედ მოასწროს, სთხოვა დასთა წინამძღოლებს გადასწყვიტონ, რომ თითო ორატორს 30 წუთზედ მეტი არა ჰქონდეს ლაპარაკის ნება. ბიუჯეტის განხილვის შემდეგ პალატამ უნდა განიხილოს ბიუჯეტები ვაჭრობისა, რკინის გზათა, მიწათ-მოქმედებისა და იუსტიციის სამინისტროებისა. დასთა წინამძღოლებმა, თუნდა რომ მიიღონ კერბერის წინადადება, მაინც პარლამენტი $2^{1}/_{2}$ თვე მოუნდება ბიუჯეტის განხილვას.

— გაზეთის სიტყვით, ამ ცოტა ხანში გერმანია, ავსტრია და იტალია განაახლებენ სამთა კავშირს, რომელსაც ვადა გასდის. ამ აზრით ბიულოვი ავსტრიასა და იტალიაში იყო იქაურ სახელმწიფო მოღვაწეებთან მოსალაპარაკებლად. ამ განახლების გამო „Nowa Reforma“ სწერს, რომ არც ერთი ავსტრიელი პოლონელი არ უნდა დასთანხმდეს იმ სახელმწიფოსთან კავშირს, რომლის მეთაურიც საჯაროდ იწვევს გერმანელებს პოლონელთა ამოსაჟლეტად და გასადევნადაო. „ამ დღეებში, სწერს გაზეთი, შეიკრიბება ავსტრ-უნგრეთის დელეგაცია. ნუ-თუ პოლონელთა დელეგატები თანხმობას განაცხადებენ გერმანიასთან კავშირის განახლებისას? ნუ-თუ ისინი თავიანთ საერო მოვალეობად არ ჩასთვლიან, ეცადნენ ყოველის ღონით ასეთ სირცხვილის თავიდგან აცილებას! საქმე აშკარაა: ავსტრიელმა პოლონელებმა ან უნდა მხარი დაუჭირონ გერმანელ პოლონელებს და წინააღუდგნენ კავშირს, ან კიდევ უღალატონ საერთო საქმეს, გადაუდგნენ გერმანელ პოლონელებს და იმათ მტრებს გერმანელებს დაუმეგობრდნენ. ვნახოთ, რას არჩევენ ჩვენი დელეგატები“.

ინგლისი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ ინგლისში ბაჟის დადება განიზრახა სხვა ქვეყნებიდგან შემოსატან პურზედ. ამ ამბავმა საშინლად აღელვა ლიბერალნი და მთელის ინგლისის დემოკრატია. ინგლისი უმთავრესად სხვა ქვეყნებიდგან შემოტანილ პურით იკვებება. ადვილი წარმოსადგენია, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან ხელ-მოკლენი და მუშები, თუ ახალის ბაჟის წყალობით პური დააძვირეს. აი, ამიტომ მთელს ინგლისში აგიტაციაა დღეს ბაჟის წინააღმდეგ. ლიბერალებმა პარლამენტშივე განაცხადეს, არაფრის გულისათვის არ მივიღებთ და შევურიგდებით მაგ ბაჟსაო.

ჩინეთი. „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდგან: „ჩინეთის მოწინავე დასები დიდად თანაუგრძნობენ შენგის წინადადებას საფინანსო რეფორმათა შესახებ. ამ რეფორმებისა დიდი წინააღმდეგნი არიან ლი-ხუანლინი და სხვა რეაქციონერნი. პრინცი ცინიც მომხრეა საეკონომო რეფორმებისა, რადგანაც ასეთი რეფორმები სახელმწიფოს შემოსავლის გადიდების ერთად-ერთ სახსრად მიაჩნია. მოწინავე ჩინელნი გაკვირვებულნი და გაოცებულნი არიან იმ წინააღმდეგობით, რომელსაც საფინანსო რეფორმებს ინგლისელი ქარხნის პატრონნი უწევენ“.

— როგორც გონკონგიდგან იუწყებიან, მოხელეებს გაუჩხრეკიათ სახლები კანტონის დასავლეთ ნაწილში და დაუპატიმრებიათ ექვსი კაცი, რომელთაც საიდუმლო ქაღალდები აღმოაჩნდათ თურმე. ამ ქაღალდებში ბრძანებაა მეამბოხეთა წინამძღოლისა ერთის წარჩინებულ მანდარინის მოკვლის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, დაპატიმრებულნი ერთ საიდუმლო საზოგადოებას ეკუთვნიან. კანტონში ისინი სარევოლიუციო პროპაგანდისა და საომარ იარაღის სასყიდლად გაუგზავნიათ. ამას გარდა, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ დღეებში 500 მეამბოხე ვუჩოუდგან კანტონისაკენ წასულა.

სამხრეთ-აფრიკის ომი. ამას წინად მთავარ-სარდალმა კიტჩენერმა ბურების წინააღმდეგ გაჰგზავნა დიდ-ძალი ჯარი გენერლის ჰამილტონის წინამძღოლობით. ამ გენერალს თან რამდენიმე ათასი კაცი ჰყავნდა, მაგრამ მაინც ხელ-ცარიელი დაბრუნდა უკან. ჰამილტონმა მთელი ორი კვირა „სდია კვალ-და-კვალ“ ბურებს, მაგრამ ვერც ერთი მეომარი ვერ მოჰკლა და ვერც ერთი ბური ვერ ჩაიგდო ტყვედ. უფრო ნაყოფიერად ჩაიარა ინგლისელთათვის 2 აპრილის ბრძოლამ, ინგლისის რაზმს, რო-

---

სახლეში და გაანთავისუფლეთ ბატონიშვილი კონსტანტინე მუხურის ციხიდგან. ამ სიტყვებმა ძლიერ შეაშინეს მეფე, ენა ჩაკმენდილი იდგა და მიყურებდა.

მე კიდევ უფრო საშიშარი ამბავი უნდა გითხრათ მეთქი, დვუმატე ჩემს მუსაიფს, მისმა იმპერატ. უდიდებულესობამ ველარ მოითმინა ამდენი თქვენი დატყუება და გადასწყვიტა წაგერთვას თქვენ სამეფო ძალით და დამყარდეს იმერეთში მშვიდობიანობა. ამ აზრით ჩვენი ჯარი უკვე მზად არის. სურამში სდგას ერთი ნაწილი და მეორეც ქუთაისის გარშემოა. გურია და მეგრელია ჩვენსკენ არიან და, როგორც-კი ვაცნობებთ, შეუერთდებიან ჩვენს ჯარს და ჩვენთან ერთად იბრძოლებენ. მაშ რაღა დაგრჩენიათ, თუ არ შენანება და ქედის მოდრეკა. ისიც სულ ცოტა ხანში, თორემ თქვენთან კვლავ მუსაიფს აღარ აპირებენ...

რა ნაირად იმქომედა ამ ამბავმა მეფეზედ, მე არ შემინიშნავს, რადგან სულ სამი საათი გაგრძელდა ჩვენი მუსაიფი, შეღამდა და მეფეს სანთლის მოტანა არ უბრძანებია. ჩვენ ბნელაში ვიჯექით და ვლაპარაკობდით. მეფის პირის სახეს მე ვერ ვუყურებდი, მხოლოდ ერთმანეთის ხმა გვესმოდა. შემდეგ მიბრძანა: გადავდვათ სახვალიოდ ეს საქმე და ხვალ ყველაფერს გეტყვიო. მე მოვახსენე, თუ ხვალ დილას პასუხი არ მივიღე თქვენგან, მე ერთის ღამის მეტი დარჩენა თქვენთან არ შემიძლია და, თუ რამე ცუდი დაგემართოთ—თქვენსავე თავს დააბრალეთ მეთქი. გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და წავედ-წამოვედით თავ-თავის ოთახებში. ამასთან ისიც მოვახსენე მეფეს, რომ რუსეთის მთავრობა დიდ ჯამაგირს დაგინიშნავთ და ხელმწიფეც არ მოგაკლებთ თავის მოწყალებასა და ყურადღებას მეთქი, მაგრამ არც ერთი არ მიიღო, მხოლოდ მითხრა, მომცენ იმერეთში მეფობის ნება, გაიყვანონ იმერეთიდგან თავისი ჯარი, მეტი მე მათგან არაფერი მოწყალება არც მინდა და არც ველიო.

შესანიშნავი ის მომენტი იყო, როდესაც მეფეს მოვახსენე საცხოვრებლად ქუთაისში გადმობრძანდით მეთქი. ეს ამბავი ისე ეუცხოვა და გაუკვირდა, რომ ორჯერ-სამჯერ მკითხა: რაო, რაო? რას მეუბნებით? რას მირჩევთ? გადვიდე საცხოვრებლად იქ, სადაც რუსის ჯარი დგაო?! და როდესაც მოვახსენე: დიახ, დიახ მეთქი,—მითხრა: არა, ეს შეუძლებელია, დიახ, ყოვლად შეუძლებელია!! ვსწუხვარ, რატომ მთხოვთ იმას, რაც არაფრის გზით არ შემიძლია ავასრულოო. ამასთან დაუმატა, რომ თუ მართლა ხელმწიფე იმპერატორს ასე ვძულვარ და არა სურს, რომ მე იმერეთის მეფედ ვითვლებოდე, მომწეროს ეს ბარათით და მაშინ მე თვითონ დავანებებ თავს ჩემს სამეფოს და გავშორდებიო. ამას შემდეგ მე გამოვეთხოვე და ჩემს ოთახში წაველი. აქ თ. ს. ლეონიძემ განკარგულება მოახდინა, ვახშამი მოგვართვეს და ვახშმად თვითონ თ. ს. ლეონიძეც დარჩა ჩემთან. ვახშამზედ საქმის შესახებ არ ჩამოუგდია ლაპარაკი, მაგრამ გაკვრით გამაგებია, რომ მეფე ძლიერ შეწუხებულია, ძლიერ ეძნელება ამ საქმის გადაწყვეტა და მთელი ღამე არ უძინიაო. მეორე დღეს შევიტყე, რომ მეფეს წუხელ ვახშამიც არ უჭამია, თუმცა-კი ჩვეულებრივ ყოველთვის ვახშმობდა... ვახშმის შემდეგ წავიდა თ. ს. ლეონიძე და თან გაჰყვა მას მთელი გროვა მეფის მოსამსახურეებისა, რომლებიც არიან უსაქმურად და მუქთად სჭამენ პურს. დავრჩი მარტო. გავგზავნე საიდუმლოდ კაცი თ. ზურაბ წერეთელთან და ვსთხოვე შემოსულიყო ჩემთან, მაგრამ თავადი შინ არ იყო, რადგან იმ ღამეს მეფეს დაებარებია და მასთან შესულიყო. მის მაგიერ თ. ქაიხოსრო წერეთელი შემოვიდა ჩემთან და მთელი ღამე საიდუმლოდ მელაპარაკა. თ. ქაიხოსრო წერეთელი სხვა ტანისამოსით იყო ჩაცმული და თითქო საიდუმლოდ მეფისგან გამოგზავნილი...

თავ. ქაიხოსრო წერეთელსაც დიდი გავლენა აქვს მეფეზედ; იმასაც დიდად ენდობა მეფე. მუსაიფის დროს ვუთხარი თავად ქაიხოსროს, რომ მეფისთვის ერჩია რამე, ჩაეგონებია მორჩილება, რადგან მოკლე დროში დიდი უბედურება მოელის სამეფოს—იმერეთს. ვუთხარი, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა ამ გვარის თქვენის ღვაწლისათვის დიდად დაგაჯილდოვებთ თქვენ, როგორც ფულით, ისე ხარისხით და ადგილ-მამულით. თავ. ქაიხოსრო წერეთელი დამპირდა ყოველ ჩემის თხოვნის და წინადადების აღსრულებას და საიდუმლოდვე წავიდა. ამასთან მითხრა, რომ დილას, სანამ ინათებდეს, შემოვალ და ამბავს გაცნობებო, მაგრამ არამც თუ მარტო იმაში მომატყუა, არამედ მეორე დღეს, როდესაც მეფემ რჩევა გაათავა და ამ რჩევის შედეგის გამოსაცხადებლად ჩემთან გამოგზავნილ არქიეპისკოპოზს სოფრონიოს, დეკანოზს ნიკოლოოზს, თავად სოლომონ ლეონიძეს და თავ. სეხნია წულუკიძეს მოჰყვა თან. შემოვიდა და დაიწყო ისეთის კილოთი და ენით ლაპარაკი, რომ თითქოს მე პირველად მხედავდა და არც რაიმე მოლაპარაკება ჰქონდა ჩემთან. დახმარების მაგიერ პირველი დამშლელი და მეფის მრჩეველი ის შეიქნა.

გვითხრა, რომ მეფეს მხოლოდ ერთი თქვენი წინადადება შეუძლია მიიღოს, დანარჩენი კი არც ერთიო. მეფე თანახმა არის გაგზავნოს მხოლოდ დეპუტაცია. სხვა მუხლები დარჩება ისევ შეუცვლელადაო. ამაზედ მე ვკითხე თავ. ლეონიძეს, რომ ნუ-თუ ყველაფერი ეს, რაც თავადმა მიამბო, მართალია-მეთქი და იმანაც დამიმოწმა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილი და მართალიაო. მაშინ მე ვსთხოვე მოეხსენებიათ მეფისთვის, რომ მე მინახულოს, გამოვეთხოვები და ამ პასუხს გადავსცემ ჩემს გამომგზავნელს მეთქი. დაფაცურდნენ თავადები, გაიქცნენ მეფესთან, გადასცეს ჩემი პასუხი და ხელ-ახლავ დაბრუნდნენ ჩემთან, მითხრეს, რომ მეფე ძევლად გზავნის გენათელს და ქუთათელს მიტროპოლიტსაო, რომლებიც ყოველგვარ პირობას მისცემენ მეფის მაგიერადაო. რაც შეეხება ბატონიშვილის კონსტანტინეს განთავისუფლებას და ძევლად გაგზავნას, ეს არასფრის გზით არ მოხერხდებაო, რადგან ბატონიშვილი კონსტანტინე ძლიერ უყვარს ხალხს და განთავისუფლებული რომ ჰნახოს, მეფეზედ მეტი სიმძლავრე იმას მიეცემაო. ამასთან მთხოვა მეფემ, რომ გენათელთან და ქუთათელთან ერთად წავსულიყავით და კარგი აზრი წარმედგინა როგორც მის შესახებ, ისე მისის სამეფოს შესახებაც. მე ყველაფერს შევასრულებ, ქუთაისშიაც გადმოვალ საცხოვრებლად და დეპუტაციასაც გავგზავნი, მხოლოდ ბატონიშვილს კონსტანტინეს ვერ გავათავისუფლებო. ქუთაისშიაც მხოლოდ მაშინ გადმოვალ, როცა დაბრუნდება დეპუტაცია და წერილობითს საბუთს მომიტანს ხელმწიფისაგან, რომ იმერეთის მეფედ დამტოვა მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ და ამასთან უზრუნველ-მყოფს რუსეთის ჯარისაგან. ერთი სიტყვით, როგორც მეფის სიტყვებიდგან, ისე მის სასახლის თავადების სიტყვა-რჩევისაგან ის აზრი გამოვიტანე, რომ მატყუებდნენ და ტყუილა დროს მაკარგვინებდნენ, თორემ არც ერთი სიტყვა მათი მართალი არ იყო. მე გამოვეთხოვე მეფეს და დავაპირე ქუთაისშივე დაბრუნება, მაგრამ მეფემ მირჩია კიდევ დავრჩენილიყავი მასთან სოფ. ვარციხეში. მე მაინც აღარ მოვიცადე და წამოველ. გზაში გამომყვნენ თავადები და დამპირდნენ მეფის დათანხმებას, მაგრამ ალბად იმათაც ისე სჯეროდათ ჩემი სიტყვები, როგორც მე მათი. ქუთაისში დავბრუნდი, გადავეცი ყველაფერი სვიმონოვიჩს, რომელმაც იმ წამსვე აცნობა მამია გურიელს და მეგრელიის დედოფალს—დამზადებული ჯარები გამოეყვანათ და სამი დღის შემდეგ პირდაპირ ომი გამოეცხადებინათ. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ გვარი მოძრაობა შიშის თავ-ზარს დასცემდა მეფეს და მორჩილების გრძნობებს აუშლიდა. თ. ზურაბ წერეთელზედ ის უნდა გაცნობოთ, რომ ერთხელ სვიმონოვიჩის მოწოდებით უნდა მოსულიყო ქუთაისში და ვენახე მე, მაგრამ არ მოსულა. არც სასახლეში მინახავს, რადგან მეფისა ეშინოდა და ჩემთან ვერ შემოდიოდა. წამოსვლის დროს დავუბარე საიდუმლოდ, რომ მეფე დაეტოვებინა და ჩემთან ქუთაისში ჩამოსულიყო და კიდევაც შეასრულა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვიშოვნე დრო, რომ მოველაპარაკო. ხვალ ან ზეგ გავალთ მდ. რიონსა და ყვირილაში და დავეცემით ვარციხეს, სადაც გამაგრებულია მეფე თავის ჯარით. თავ. სოლომონ ლეონიძეზედ ყოველსავე უფრო დაწვრილებით შემდეგს წერილში გაცნობებთ, რადგან იგი ყველა თავადს გადააჭარბებს ეშმაკობითაც და ჭკუითაც. ის ერთად-ერთი კარის კაცია, რომელიც ამაგრებს მეფეს, თორემ ამდენ ხანს მეფე ყველაფერში დაგვმორჩილდებოდა.

ეს ეს არის მოვიდა ჩვენს ჯარში ს. ვარციხიდან გელათის მონასტრის არქიმანდრიტი, რომელმაც გადმოგვცა, რომ მეფისგან გამოგზავნილი ვარო, შეინანა მეფემ ყველაფერი და გთხოვთ შებრალებასაო, მაგრამ ეს ყველაფერი სიცრუეა. მაშინვე გავგზავნეთ ჯაშუში და მოგვიტანა შემდეგი ამბავი: 19 ამ თვეს მეფემ გაგზავნა ახალციხის შერიფ-ფაშასთან თ-თ. ქაიხოსრო, სიმონი და ბერი წულუკიძეები და სთხოვა მას დახმარება ჩვენის ჯარის წინააღმდეგ; მე დარწმუნებული ვარ შერიფ-ფაშა ამ თხოვნას კიდევაც შეასრულებს*).

თეოფილე ხუსკივაძე.

(დასასრული იქნება).

---

*) იქვე—გვერდი 230.

მელსაც პოლკოვნიკი როშფორი უფროსობდა, ტყვედ წაუყვანია გენერალ დელარეის ძმა. მეორე ტყვე ბურებისავე გენერალის კოხის ძმაა თურმე.

— ინგლისმა ცენზურა არ უწყოდა აქამდე, მაგრამ სამხრეთ-აფრიკის ომმა სხვა ცუდ სნესთან ერთად ესეც შეჰმატა ბრიტანიას. აფრიკელმა ცენზორმა ისე დაამახინჯა მეტუენის ტყვედ წაყვანის ამბავი, რომ აფრიკაში მცხოვრებთ ბოლოს დრომდე არც-კი იცოდნენ გენერლის დატყვევება. აი, ცენზურის წყალობით, როგორ გამოცხადდა აფრიკაში ეს ამბავი: „ლორდი მეტუენი დაიჭრა; იგი ჯართან ერთად ფრიბურგიდგან წავიდა; გზაში, კლინდრიფტის მახლობლად, ამ ჯარზედ იერიში მიიტანა ბურთა მრავალ-რიცხვოვანმა ჯარმა, რომელსაც წინამძღოლობდნენ დელარეი, სელლიე, ვან-ზიე და კემპი. ჩვენი ჯარი მამაცად დაუხვდა მტერს. ჩვენ მეომართა ნაწილი ბურებმა ტყვედ წაიყვანეს. დანარჩენნი უკან დაბრუნდნენ. რამდენიმე აფიცერი და ჯარის-კაცი მოკლულ და დაჭრილ იქმნა. თვით ლორდი მეტუენიც დაიჭრა, ეხლა კლერკსდორპის საავადმყოფოშია და უკვე რჩება“. განა, აქედგანა სჩანს, რომ მეტუენი ტყვედა ჰყვანდათ ბურებს? ამ ამბის გამოცხადების შემდეგ, როდესაც მეტუენი ჯერ კიდევ ტყვედ იყო, ადგილობრივი გაზეთები სწერდნენ,—იმედია, ლორდი მეტუენი მალე წამოდგება ფეხზედ და სამაგიეროს გადაუხდის ბურებსაო.

ამერიკის შეერთებული შტატები. შტატებში ახალი საპოლიტიკო დასი შესდგა, რომელიც თან და თან მეტ გავლენასა და მომხრეებს იძენს თურმე. გაზეთების სიტყვით, ეს ახალი დასი დიდ მეტოქობას გაუწევს დღევანდელ ორ უმთავრეს დასს—რესპუბლიკანურს და დემოკრატიულს. ახალ დასს სახელად „გაერთიანებული სახალხო დასი“ ჰქვიან. იმის წევრთა შორის არიან ვერცხლის ვალიუტის მომხრენი, სოციალისტები, ჰენრი ჯორჯის მიმდევარნი, ქრისტიანე რეფორმატორნი და ყველა ისინი, ვინც რესპუბლიკელებს და დემოკრატებს განშორდნენ. ახალის დასის მთავარს მიზანს პლუტოკრატიასა და ტრესტებთან ბრძოლა შეადგენს. პროგრამა ამას წინად შეიმუშავეს, დელეგატთა კრებაზედ კანზასში. ახალი დასი თხოულობს აგრეთვე შემოსავლის კვალობაზედ გაწერილ პროგრესიულ გადასახადის შემოღებას და სახელმწიფოს მიერ რკინის გზების, ფოსტისა, ტელეგრაფისა და სხვა დაწესებულებათა გამოსყიდვას.

გერმანია. გერმანიის მთავრობა დიდ-ძალ სამხედრო გემებსა ჰგზავნის ჩინეთის წყლებში. მიზეზი ამისა არავინ უწყის. შეიძლება გერმანიას ჩინეთის ახალი არეულობანი აშფოთებს და ამიტომ წინ და წინვე სცდილობს თადარიგის დაჭერას.

გასართობი

ბაასი რკინის გზის სადგურზედ.

(სცენა)

— ააა, გამარჯვება, ჩემო სეხნია, გამარჯვება! როგორ ხარ, როგორ მშვიდობით? საით მიემგზავრები? მიესალმა მოხუცს მგზავრს სეხნიას აზ. იორამი.

— ღმერთმა მიდღეგრძელოს თქვენი თავი! გახლავარ გვარიანათ, ხვთის და თქვენი წყალობით; ქუთეის მივალ, ბატონო იორამ, სუდში ვარ მოწმეთ დაბარებული, უპასუხა ჭიათურიდგან მომავალმა სეხნიამ.

იორამ. სხვა, რა ამბავია თქვენს ჭიათურაში?

სეხნია. ნუ მკითხავ, ბატონო იორამ, ნუ!

იორ. რატომ, ჩემო სეხნია, კარგა ხანია თქვენს ჭიათურაში რომ არ ვყოფილვარ და მომიყევი, ახალი თუ რამე იცი!

სეხ. კაი გინებებია, თუ არ ბრძანებულხართ და არც გირჩევთ, რომ ჩამობრძანდეთ სწორეთ, არა!

იორ. რათა, ჩემო სეხნია, რათა?

სეხ. რათა, ჩემო ბატონო, და იმათა, რომ ჭიათურეი თლათ წეიპილწა.

იორ. რას ამბობ, სეხნია? წაიპილწა, თუ გაიწმინდა, შე კაცო!

სეხ. ისე შენი მტერი და ორგული წეიპილიწა, რავაც ჭიათურეი წეიპლიწა თლათ!

იორ. მაინც, სეხნია, მაინც?

სეხ. მაინც რომელი მოგიყვე, ბატონო, კაცის დაჭრა, კაცის მოკლვა, უპირობა, უფულობა და რა ვიცი, რა არაა. საცხა გაზეთიაო ქალაქშიო და ყველაფერს იმაში ამუაყოფიებენ თავს. აი, ბატონო, ახლა რომ მუსაიფობთ ჩვენ, დაუკლებლათ იქნება ხვალე გაზეთში კაკალ-კაკლათ ანცმული და გამოფიჩინებული, რომ სეხნიეი და იორამი შორაპნის ტანციაზე მუსაიფობდენო! არა, ვინ ატყობიებს,—ამის ჯავრმა მომკლა, ამის ჯავრმა, იორამი ნუ მომიკტება!

იორ. ასედაც უნდა, ჩემო სეხნია, ასე, ჩვენს ამბავს ისინი შეიტყობენ, იმათ ამბებს ჩვენ და, რაც არ ვიცით და არ გაგვიგონია, იმას შევიტყობთ და გავიგებთ გაზეთით.

სეხ. კაი ერთი, მამა გიცხონდება! რა უნდა გეიგო იქიდან?

იორ. ის, რასაც ვერ ვტყობილობთ ისე, უგაზეთოდ.

სეხ. ვითომ რა შესატყობია', რაცხას ჩვენთვის ვლაპარაკობთ, ან-და ეს სეხნიეი ქუთაის მიდის, რა თფილი ქალაქის გაზეთში ჩასაწერია? ამიხსენი ერთი, შენი მუხლის ჭირიმე!

იორ. ამეებს როდი ჩასწერენ, ჩემო სეხნია! ეს უბრალო საქმეა.

სეხ. ჰა, ნახავ ბატონო, ნახავ, თუ ხვალე არ იქნეს გაზეთში ყოლიფერი შეუშლელათ გაწერილი.

იორ. ამასაც ვნახავთ, გავიგებთ, ჩემო სეხნია, გავიგებთ.

სეხ. აბა, იგიც გეიგე, ვინცხა ოჯახ-დაფუქულს დოუწერია „კვალის“ გაზეთშიო (იმას დეებნა გზაი და კვალი): ჭიათურაში საწონი ლაპარაკობსო, „დეიწვეს ჩემი საძირკველიო, ბევრი ცოდვა მადევს კისერშიო“, არა, ვისი საძირკველს წვავს ის ოჯახ ამოსაბუგავი, აი მოგსრი;ა საწონი რომ ლაპარაკობდეს სადმე? იორამი ნუ მომიკტება, კინაღამ ჭკუაზედ შევიშალე, ეს რომ ამოიკითხეს.

იორ. არა, სწორედ არ გამიგონია, სასწორი რომ ლაპარაკობდეს.

სეხ. არა და უყურე იმის დამწერს, რეებს არ უპირებენ: დაჭრას, გალახვას და მოკლვასაც, მგონია. კიდო ვინცხა შეჩვენებულს დოუწერია: „კაცებს დაკლული ღორებივით ჩეხვენო“.

სეხ.—რა, ბატონო, და იგენმა ერთმანეთი ჩეხონ, გაზეთებში წერონ და სეხნიამ და დათიამ სუდში უნდა ირბინოს. არა, სულო ცოდვილო, ტყული-კი არაა! გუშინ-წინ ჩეერიენ ძაღლებივით და სულ ხანჯლებით დაგლიჯეს ერთმანეთი! მამა გიცხონდება, იორამ, რაფერ ვთქვა აგი სუდში?

იორ. ისე სთქვი, როგორც ნახე, მეტი არასფერი!

სეხ. მეტს რავა ვიტყვი, რავა ძაღლი დამჭამს! მარა, აი მაწუხებს, რომელმა რომელი დაჭრა, ამისი არაფელი ვიცი. აი კი ვიცი, რომ ბოლო დროს ყველა დაჭრილი იყო.

იორ. ჰო, რაც ნახე, ისა სთქვი-მეთქი!

სეხ. კაი დეგემართოს, ჩემო იორამ, მარა ისე ჩქარა სად შემიძლია ქუთეის და ჭიათურის შუა ტრიალი, რავაც იქაა ძალი-ძალ წეწვა-გლეჯვა? სად შემიძლია, შენი ჭირიმე, ამდენი, სად? გუშინ-წინ კიდო ერთ ჭიათურელ დალაქს დოხტურობა დოუჩემებია, კაცს გავჭრი, მერე აპელაციაა, თუ რაღაცა, იმას გაუკეთებო, მოვკვრამო და მოვარჩენო. წოუყვანიენ მაშინვე აი დალაქი გაჭირვებულ ავათმყოფთან სანახავათ, მისვლისთანავე დოუდვია სამართობელი ზედ კაკალ მუცელზე და საწყალ ავათმყოფს სიტყვაც ვერ მოუსწვრია, ისე გამოუშიგნავს შესაწვავი ქათამსავით და იქვე გავარდნია სული! არა, თუ გაგიგონია, ბ-ნო იორამ, ამისთანეები? დეილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ვინ დალაქი და ვინ აპელაცია?!

იორ. ვერ ყოფილა, ჩემო სეხნია, თქვენს ჭიათურაში კარგი ამბები!

სეხ. კაი რავაა, შენი ჭირიმე, ამიზა ვთქვი ჭიათურეი წეიპლიწა მეთქი, ბ-ნო იორამ, ამიზა!

იორ. ჩემო სეხნია, სხვა რა იცი ახალი?!

სეხ. სხვა, ბატონო, ვიღაცა სულ მადლიანმა ფარნები გაგვიკეთა, ღამე გაანათებსო და კაცი გეიარსო და იმ სულ ამოსახთენმა, რომ ირ გოუშვა, არ იქნა!? ღამე არ გეიარს ისე, ხუთი ექვსი არ მოიპაროს, და, აპა, მითხარი, ბ-ნო იორამ, რა ოუა, ასე თუ იპარა—იმ სულ გასაპარავმა? ხომ იცი, რავალი კუპრივით სიბნელე იცის ჩვენს ჭიათურეიში; იმას-კი ჩოუარდა კუპრში და დუღარეში სული! რავა შემოუხთა, რავა? თითო ფარანთან თითო ყალაური რაფერ დააყენოს კაცმა?

იორ: სხვა კიდევ რა იცი, სეხნია!

სეხ. ბატონო, რაც მე ჭიათურეის ამბები ვიცი, ყველას რომ მოვყვე, მგონი დღეს-კი არა, ვერც დღეისწორს წევიდე ქუთეისს (მეორე ზარი ჩამოჰკრეს). ბატონო იორამ, მაშინა არ გემეპაროს, რაცხა დარეკეს?

იორ. ბილეთი აღებული გაქვს?

სეხ. კი, ბატონო, ქე მომცა იმ პატიოსანმა ქალმა, ეგერ რომაა დამწყვდეული (კასისაკენ იშვერს ხელს), უცხონდა მშობელი! სულ-მადლიანი ყოფილა: ყველაზე უწინ მე მომცა ბილეთი.

იორ. აბა, ასე, ჩემო ჩეხნიავ! კიდევ სთქვი რამე, ჯერ ადრეა.

სეხ. არა, შენი ჭირიმე, გამასწრებს მაშინეი, ღამე მშვიდობის ბრძანდებოდეთ, ბატონო!

იორ. ღამე მშვიდობით, სეხნია, ღამე მშვიდობით!

სეხ. აქეთობას გამევიარ, ბატონო იორამ, და ყოლიფერს დაწვრილებით მოგიყვები, უფრო დალაგებით.

მალე მესამედაც ჩამოჰკრეს ზარი; მატარებელიც გასცილდა სადგურს ხენეშა-კვნესით და ჩვენმა სეხნიამაც ჰქნა პირი ქუთაისისაკენ.

გ. ნანელი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 აპრილი.

პეტერბურგი. 17 აპრილს დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სასახლეში მისმა უმაღლესობამ და დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა მიიღეს დეპუტაცია ნეჟინის 137 ქვეითის პოლკისა, რომელმაც მიულოცა დიდს მთავრინას 25 წლის შესრულება მას აქეთ, რაც მისი უმაღლესობა მარიამ პავლეს ასული ამ პოლკის შეფად იმყოფება.

დღეს დაიწყო ნავოსნობა ნევაზედ.

მოსკოვი. ტვერის ქუჩაზედ აკურთხეს ნიში, აგებული კერძო შემოწირულებით მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ქორწინების სახსოვრად.

მიტავა. ამ ზაფხულს ბალტიის მხარეში სხვა-და-სხვა ადგილას იქმნება გამართული 16 სასოფლო-სამეურნეო გამოფენა; მიწათ-მოქმედების სამინისტრომ 503 ჯილდო დანიშნა.

ბაქო. ასტარას გაემართნენ შაჰის მისაგებებლად სპარსეთის ელჩი მირზა-ჰასანი და დესტ. სტ. სოვეტნიკი კოხანოვსკი, რომელსაც ნაბრძანები აქვს ახლდეს შაჰს რუსეთში მგზავრობის დროს.

მოსკოვი. სახელოვნებო საზოგადოებამ გადასწყვიტა გოგოლისა და ჟუკოვსკის საუკუნოდ ხსენებისათვის მხატვრობისა და ქანდაკების სასწავლებლის ზღუდეთა შორის ეძლიოს ორ-ორს კურს-დამთავრებულს ათ-ათი თუმანი ჯილდოთ.

19 აპრილი.

ფილადელფია. რუსეთის ჯავშნიანი გემი „რეტვიზან“, კრამპის გემთ-საშენებელში აშენებული, რუსეთისკენ გაემართა.

პარიჟი. ბრისონმა თანხმობა გამოაცხადა დრომის დეპარტამენტში კანდიდატად გამოვიდეს; რესპუბლიკელმა კანდიდატებმა დაუთმეს ბრისონს თავიანთი კანდიდატობა.

ოდესა. რუსეთის მევენახეთა ღვინის დაყენების სადგურის გახსნას ამ წლის მეორე ნახევარში აპირებენ.

ლონდონი. «რეიტერის სააგენტოს“ ცნობით, ბურების წინამძღოლნი, რა განიხილავენ დამორჩილების პირობებს, რომელთაც ისინი მზად არიან დასთანხმდნენ, მივლენ მთავარს ბინაზედ, რომ კიტჩენერთან ერთად საბოლოოდ გადაწყვიტონ საქმე.

კოლკუტა. ძლიერმა გრიგალმა დააზიანა ქალაქი დაკკა და მისი მიდამონი; დაიღუპა 416 კაცი; ჭირნახული განადგურებულია; მცხოვრებნი უკიდურესს გაჭირებაში არიან.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{5}{8}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$304\frac{1}{2}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	536 გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	455 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	196 „
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ზ. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (49ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 30
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
ლელა, ანდერსენისა	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,, 15
ელენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	,, 3
ამბავი მაღლის ქვისა	,, 5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	,, 15

მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი

ხ ი ს - ს ა ხ ე რ ხ ი: ჩარხო მანქანისა, მუდმივი და გადასატანი და **თვლებზედ დამ**დგარი.

ყოველ-გვარი სახერხი: სადურგლო, საპარკეტო, საბოჭკე და სხვა ამ გვარ ქარხნებთათვის.

ყოველ-გვარი სახერხი: ლითონისა, მავთულისა და თუნუქის ნივთის საკეთებლად, სპიჩკისა, აგურისა, ლურსმნისა და სხვა ამ გვარებისათვის.

ახალი ამბავი! ორთქლის მოტორი (გახურება შეიძლება ყოველ-გვარ ნავთით); **ლოკომობილები**. პირველ ხარისხოვან ქარხნებიდგან დაბარება ყოველ-გვარ სხვა მანქანისა

პ ა ვ ლ ე ბ რ უ მ ი

МОСКВА. Трехсвятительскій переулокъ (у красныхъ воротъ), д. Строительнаго общества, № 3.

ადრესი წერილებისათვის: Павлу Брумъ, Москва; ტელეგრამებისათვის: Брумъ—Москва.

(3—6.—1)

ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურ ენაზედ

☛ კოხტად, სწრაფად და იაფად ☚

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.